საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**განკარგულება**

განკარგულება:**g-69. 69232474**
თარიღი:**04/09/2023**

**„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/11 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63 - მუხლის საფუძველზე

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:**

**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს ცვლილება „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/11 განკარგულებაში

1. განკარგულებით დამტკიცებულ საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხას დაემატოს შემდეგი ობიექტები და დამტკიცდეს განახლებული საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხა თანდართული დანართის შესაბამისად:

ა) სოფელ მოლითში 36.17.34.450 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 150 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

ბ) სოფელ ნუნისში 36.18.38.056 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 4000 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

გ) დაბა ხარაგაულში, სოლომონ მეფის ქუჩა N 84-ის მიმდებარედ 36.01.31.1986 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 80 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

დ) დაბა ხარაგაულში, სოლომონ მეფის ქუჩა N52-ში მდებარე 36.01.31.467 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 92კვ.მ მიწის ნაკვეთი.

**მუხლი 2.** განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა #7).

მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი